



გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები: ეკონომიკური განვითარების გაერთიანებული სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრის ოქმი/შეჯამება

შეხვედრის თარიღი: სამშაბათი, 19/06/2018, 10:00

შეხვედრის ადგილი: ფაბრიკა - თბილისი

შეხვედრის თემა: ეროვნული ინდიკატორების გაუმჯობესება და მიზნების ინტეგრირება

პოლიტიკის დოკუმენტებთან; 1-ლი, მე-8, მე-9, მე-10 მიზნების განხორციელების შეფასება

შეხვედრის მონაწილეები: დანართი 1

გამომსვლელები	პრეზენტაციები	პოზიცია
ანა კვერნაძე	გახსნილი სიტყვა, სამუშაო შეხვედრის შესავალი	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ნინო ჯანაშია	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში	UNDP-IDFI პროექტის საჯარო პოლიტიკის ექსპერტი
ნინო ფარცხალაძე	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება	UNDP-IDFI პროექტის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტი
თათია გვარამაძე	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება - დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
ლიკა კლიმიაშვილი	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება - დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები: მიზანი 8 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; და მიზანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

	10 - უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის	
თეა ლევიძე	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება - დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები: მიზანი 8 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურა, ინდუსტრიალიზაცია და ინოვაციები; და მიზანი 10 - უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

განხილული საკითხები დღის წესრიგის მიხედვით:

10:10 - გახსნითი სიტყვა

ანა კვერნაძე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

შეხვედრა გახსნა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა კოორდინატორმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა - ანა კვერნაძემ. უპირველესყოვლისა მან დამსწრე დაინტერესებულ მხარეებს მოახსენა, რომ უკვე შედგა ორი შეხვედრა სოციალური ინკლუზიის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და განმარტა, რომ პირველმა შეხვედრამ გამოავლინა ჯგუფის დაყოფის საჭიროება მისი მუშაობის მეტი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად სამუშაო ჯგუფის ფორმატები დაიყო ორ ნაწილად - ტექნიკური და ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფები. ტექნიკურ სამუშაო ჯგუფთა შემადგენლობაში შედიან საჯარო უწყებათა წარმომადგენლები, ხოლო ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფები კი აერთიანებენ ყველა დაინტერესებულ პირს - კერძო და საჯარო სექტორს, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს. საჯარო პოლიტიკისა და მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტები აქტიურად მუშაობენ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის წევრებთან და საკუთარი მუშაობის შედეგებს ეტაპობრივად წარუდგენენ ინტეგრირებულ სამუშაო ჯგუფებს. ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა, რომ სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი უკვე არის დასრულებული და უახლოეს მომავალში (ივნისის ბოლოს) ამოქმედდება ვებ-გვერდი, რომელზეც შესაძლებელი იქნება თითოეულ მიზანთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის, ინდიკატორებისა და შესაბამისი სტატისტიკის ხილვა.

მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის მიზანი: სოციალური დახმარების, სიღარიბის აღმოფხვრისა და შრომისა და დასაქმების მიმართულებით (1-ლი, მე-8, მე-9 და მე-10 მიზნები) სახელმწიფოში ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის განხილვა და

ტექნიკურ სამუშაო ჯგუფში მიმდინარე სამუშაოს შედეგების გაცნობა ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფისათვის.

ანა კვერნაძემ წარადგინა შემდგომი გამომსვლელი - საჯარო პოლიტიკის ექსპერტი ნინო ჯანაშია.

10:15 - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში

ნინო ჯანაშია, საჯარო პოლიტიკის ექსპერტი

საჯარო პოლიტიკის ექსპერტმა დეტალურად მოახსენა დამსწრე საზოგადოებას ტექნიკურ სამუშაო ჯგუფში მიმდინარე მუშაობის პროცესის შესახებ. მან ხაზი გაუსვა ინტეგრირებული შეხვედრის მნიშვნელობას და აქტიურობისა და საკუთარი მოსაზრებების/რეკომენდაციების მოწოდებისკენ მოუწოდა კერძო და საერთაშორისო სექტორის წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში აუცილებელი იყო დოკუმენტთა ამომწურავი სია, რომლებსაც დაეყრდნობოდა შეფასება. შედეგად შეფასება ეფუძნება, როგორც სხვადასხვა უწყებათა მიერ შექმნილ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს, ისე პროგრამულ დოკუმენტებს. ნინო ჯანაშიამ ისაუბრა გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში პირველ გამოწვევას საქართველოში უწყებათა ჩართულობა წარმოადგენდა. აღნიშნული გამოწვევა გადალახულია მოცემული პერიოდისთვის, იქიდან გამომდინარე რომ სამუშაო ჯგუფებში თითოეული რელევანტური უწყებიდან წარმოდგენილია სულ მცირე ერთი წარმომადგენელი. გამოწვევას წარმოადგენდა ასევე საკონტაქტო პირთა ჩართულობა უწყებებში მიმდინარე სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მოცემული დროისთვის აღნიშნული გამოწვევა აღმოფხვრილია. მისივე თქმით, პოლიტიკის ექსპერტს ღია კომუნიკაცია აქვს საჯარო უწყებათა საკონტაქტო პირებთან და იღებს მათგან კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ ექსპერტულ მოსაზრებებს.

ნინო ჯანაშიამ ხაზი გაუსვა რომ უახლოეს მომავალში გამზადდება შეჯერებული/განახლებული მატრიცა და ის გაეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

10:20 - ანა კვერნაძე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის სიტყვით გამოსვლამდე ანა კვერნაძემ დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ მატრიცაში არ არის მოცემული დაგეგმილი ქმედებები და ის მოიცავს მხოლოდ ამოცანებსა და ინდიკატორებს. შესაბამისად მსგავსი შეხვედრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ ფართო საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია უწყებათა მიერ დაგეგმილი ქმედებების შესახებ. ანა კვერნაძემ წარადგინა შემდეგი გამომსვლელი.

10:25 - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება

ნინო ფარცხალაძე, მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტი

ნინო ფარცხალაძემ დამსწრე დაინტერესებულ პირებს მოახსენა, რომ სამუშაო ჯგუფებში აქტიურად მიმდინარეობს ინდიკატორების გადახედვის პროცესი, იმისთვის, რომ ისინი მაქსიმალურად ახლოს

იყოს გლობალურ ინდიკატორებთან. აღნიშნული თავის მხრივ უზრუნველყოფს გლობალური ინდიკატორების შედარების შესაძლებლობას ქვეყნებს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც გლობალურ ინდიკატორთან მიახლოება არის შეუძლებელი ეროვნულ ინდიკატორს ენიჭება ცალკე ნომერი და ის ხდება დამატებითი ინდიკატორი. შესაბამისად ეროვნული ინდიკატორების გლობალურ ინდიკატორებთან მიახლოების პროცესში მოხდა ზოგიერთ ინდიკატორის ამოღება, შემუშავდა დამოუკიდებელი ინდიკატორები და თითოეული მათგანისთვის განისაზღვრა გაზომვის მეთოდები.

10:35 – მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

თათია გვარამაძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა სოციალურად დაუცველი პირების დახმარების მხრივ ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებულ პროგრესზე და არსებულ გამოწვევებზე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროგრამები, რომლებიც მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრისკენ, თუმცა აქვე განმარტა, რომ მსგავსი პროგრამები დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფენ სიღარიბის აღმოფხვრას ქვეყნაში და აღნიშნული მხოლოდ ეკონომიკური ზრდის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მხოლოდ ამ ორი პირობის არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი 2030 წლისთვის დასახული ამბიციური მიზნის შესრულება - უკიდურესი სიღარიბის 1%-მდე შემცირება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა მდგრადი განვითარების მიზნების მისადაგებულ ამოცანა 1.3.1-ზე - მიზნობრივი სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობისთვის, მის საბაზისო და სამიზნე ინდიკატორებზე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ასევე საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა 1.ა.1 და ის ძირითადი სოციალური პროგრამები რომლებიც ხორციელდება სამინისტროს მიერ: პენსია. სოციალური პაკეტი, მიზნობრივი სოციალური დახმარება, შეღავათები მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის და სოციალური პროგრამები. გამომსვლელმა ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად სხვადასხვა პროგრამის არსებობისა არ არსებობს ერთიანი სტრატეგია.

თათია გვარამაძემ გაერთიანებულ სამუშაო ჯგუფს მოახსენა სამომავლო ნაბიჯების შესახებ. კერძოდ, იგეგმება მიზნობრივი სოციალური დახმარების მიზნობრიობის გაზრდა; ცვლილებების განხორციელება საარსებო მინიმუმის გამოთვლის პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმით უფრო ფართო მოსახლეობის დაფარვას; სოციალური დახმარების ტარიფებთან მისადაგება და შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბოლო საკითხის - შრომისუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობა, მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

10:40 - მიზანი 8 და მიზანი 10 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

ლიკა კლიმიაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ინტეგრირებულ სამუშაო ჯგუფს გააცნო ბავშვთა შრომის (საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა 8.7), შრომის უსაფრთხოებისა (საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა 8.8) და ლეგალურ მიგრაციასთან (საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა 10.7) დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, საბაზისო ინდიკატორები 2015 და 2017 წლებისთვის, განვლილი პროგრესი და დაგეგმილი ქმედებები.

კერძოდ, 2030 წლისთვის სახელმწიფოს მიზნად აქვს დასახული ბავშვთა შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა. სამინისტროს წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა თითოეულ გამოვლენილ შემთხვევაზე შესაბამისი რეაგირების აუცილებლობაზე და ამასთან დასძინა, რომ 2017 წლის განმავლობაში ბავშვთა იძულებითი შრომის შემთხვევები ინსპექტირების შედეგად არ დაფიქსირებულა. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ატარებს სხვადასხვა აქტივობებს მოცემულ საკითხზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა რეგიონებში. შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება შრომის კოდექსშიც.

შრომის უსაფრთხოების საკითხზე საუბრისას, ლიკა კლიმიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სასიკვდილო და არასასიკვდილო ტრამვათა რაოდენობის 2015 და 2017 წლების საბაზისო მაჩვენებლები, რომლებიც მსგავს შემთხვევათა კლების ტენდენციაზე მიუთითებდნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ მომზადდა და ძალაში შევიდა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არსებული მდგომარეობით მხოლოდ მძიმე და საშიშპირობიან სამუშაოებზე ვრცელდება თუმცა 2019 წლიდან დაფარავს დასაქმებულთა ფართო სპექტრს. მან ხაზი გაუსვა, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან“ ერთად. ორგანიზაციის ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინების შედეგად გაუმჯობესდა შრომის უსაფრთხოების სტანდარტები ქვეყანაში. გაუმჯობესებული შეფასება დაფიქსირდა ასევე „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის“ ექსპერტთა შეფასებებშიც.

ლეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით ლიკა კლიმიაშვილმა ყურადღება გაამახვილა შუამავალი სააგენტოების როლზე და ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო შუამავალი სააგენტოების მიერ დასაქმებული პირების სტატისტიკური ანალიზი. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დასახული მიზნები და ამცნო, რომ ლეგალური მიგრაციის საკითხზე აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს ისრაელთან და ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანასთან.

10:50 - მიზანი 8, მიზანი 9 და მიზანი 10 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; მდგრადი ინფრასტრუქტურა, ინდუსტრიალიზაცია და ინოვაციები; უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

თეა ლევძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა საკუთარი პრეზენტაციის დასაწყისში აღნიშნა, რომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და შესაბამისი ინდიკატორების შემუშავების საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ექსპერტებთან და საქსტატთან. სამინისტროს ამოცანას წარმოადგენს ზოგადი

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ისევე როგორც სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ) ხორციელდება მრავალი რეფორმა თუ ღონისძიება, როგორც არის: მიწის რეფორმა, კაპიტალის ბაზრის რეფორმა, ლარიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, საგარეო ვაჭრობა, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები (ჩინეთთან, ჰონგკონგთან). მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები 2015 და 2017 წლებში.

თეა ლევინე შეეხო ასევე ტურიზმის განვითარების საკითხს და აღნიშნა, რომ შექმნილია ტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2025 წლისთვის. სტრატეგია სხვათა შორის ითვალისწინებს ისეთი ქმედებების განხორციელებას, როგორც არის ვიზიტორთა ცენტრების განვითარება, დაცული ტერიტორიების გაფართოვება და სხვა, რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს ტურიზმისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის წილის ზრდა მშპ-ში.

გამომსვლელმა ისაუბრა მდგრადი ინდუსტრიალიზაციის საკითხსა და პროგრამაზე „აწარმოე საქართველოში“, მან აღნიშნა რომ იგეგმება ერთიანი სტრატეგიის შემუშავება. თეა ლევინემ ხაზი გაუსვა პროფესიული განათლებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის აუცილებლობას და ექსპორტის სტიმულირების მნიშვნელობას. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო მდგრადი ინდუსტრიალიზაციის მიმართულელებით არსებული საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები და დასძინა, რომ პროგრესის მისაღწევად აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული გადამზადების ტრენინგები და საწარმოთა ტექნიკური გამართვა. მან იმედი გამოთქვა, რომ მომავალი შეხვედრისთვის მოცემული მიმართულებით მეტი პროგრესი იქნებოდა მიღწეული.

11:00 - ანა კვერნაძე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის პრეზენტაციის დასრულების შემდგომ ანა კვერნაძემ დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ მოცემული შეხვედრის ფორმატში ყველა მიზნის დაფარვა იყო შეუძლებელი, თუმცა აქვე მოუწოდა სამუშაო ჯგუფის წევრებს განხილვების რეჟიმში აქტიური თანამშრომლობისკენ და შეახსენა, რომ ახლო მომავალში ამოქმედდება ვებ-გვერდი სადაც პროაქტიულ რეჟიმში იქნება შესაძლებელი მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებით არსებული პროგრესის ხილვა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ამის შემდგომ, ანა კვერნაძემ გახსნა კითხვა-პასუხის ეტაპი.

11:05 - კითხვა-პასუხი/დისკუსია

კითხვა-პასუხის ეტაპზე თავდაპირველად დამსწრე საზოგადოებას მიმართა „ენერგოეფექტურობის ფონდის“ წარმომადგენელმა თამაზ ზარქუამ და დამსწრე საზოგადოებას მეტი კრიტიკულებისა და აქტიურობისკენ მოუწოდა. მან უკმაყოფილება გამოთქვა სიღარიბის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე მუშაობის პროცესი შეფერხებულად მიმდინარეობს. იგი ასევე შეეხო საარსებო მინიმუმისა და დასაქმების დონის საკითხს ქვეყნაში. აღნიშნა, რომ დასაქმების დონის მაჩვენებელი ციფრები არის სიცრულში შემყვანი და არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. ანა კვერნაძემ შეახსენე გამომსვლელს შეხვედრის ფორმატი, მოუწოდა მას შეკითხვების დასმისა და კონკრეტიკისკენ, დააზუსტა, რომ მისი შეკითხვა დასაქმების დონის მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდოლოგიას ეხებოდა. „ენერგოეფექტურობის ფონდის“ წარმომადგენელს სტატისტიკის სამსახურის უფროსმა განუმარტა, რომ საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად ყველა ადამიანი ვინც არ არის დასაქმებული არ ითვლება უმუშევრად. ირმა გვილავამ ასევე ზოგადად აღწერა მეთოდოლოგია და

აღნიშნა, რომ 14%, რომელიც წარმოადგენს უმუშევრობის დონეს საქართველოში არ არის დაუსაქმებლობის დონის იდენტური.

კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა, თამარ წულუკიძემ შეკითხვა დასვა კულტურულ და სპორტულ ტურიზმთან დაკავშირებით, კერძოდ იყო თუ არა ხელმისაწვდომი ცალ-ცალკე მონაცემები კულტურული და სპორტული ტურიზმის შესახებ. საქსტატის წარმომადგენელმა ლევან ქარსაულიძემ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა თეა ლევიძემ განმარტეს ტურიზმთან დაკავშირებული მონაცემების მიღების მეთოდოლოგია, თუმცა ამასთან აღნიშნა ისიც, რომ მონაცემები არ იყო ზუსტი. ნინო ფარცხალაძემ დაამატა, რომ თითოეული ინდიკატორსა და მონაცემზე იქნებოდა წარმოდგენილი შესაბამისი მეთოდოლოგია.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენლის ლინა ღვინიაძის შეკითხვა ეხებოდა იმას თუ შრომის უსაფრთხოების ნაწილში, რატომ წარმოადგენდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წამყვან უწყებას, ნაცვლად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსი. მან ასევე აღნიშნა, რომ მატრიცა არ მოიცავდა დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალს. ლინა ღვინიაძემ დამატებით რეკომენდაციით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, მატრიცაში გათვალისწინებული ყოფილიყო ასევე პროფესიულ დაავადებათა საკითხი. ანა კვერნაძემ პასუხისმგებელ უწყებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შრომის უსაფრთხოების საკითხი იყო ძალზედ კომპლექსური და მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი დასახული მიზნის მიღწევაზე. საჯარო პოლიტიკის ექსპერტმა ნინო ჯანაშიამ დაამატა, რომ როგორც ეს შეხვედრის დასაწყისში აღნიშნა, აქტივობები არ არის გაწერილი მატრიცაში. ლინა ღვინიაძემ ასევე ისაუბრა შრომის უსაფრთხოების ინდიკატორების რელევანტურობაზე და რეკომენდაციით მიმართა ექსპერტებსა და საჯარო უწყებებს ინდიკატორების მაჩვენებელთა განსასაზღვრად გამოეყენებინათ ასევე შესაბამის საქმეთა რაოდენობის დინამიკა სასამართლოებსა თუ სახალხო დამცველის აპარატში. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენლის შემდგომი შეკითხვა ეხებოდა იმას, თუ რატომ იყო მატრიცა დავიწროვებული ბავშვთა შრომაზე, რომელზე პასუხადაც ანა კვერნაძემ განმარტა, რომ ის ეფუძნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ შესაბამის რეზოლუციას, თუმცა აქვე დაამატა, რომ შესაძლებელი იყო დამატებითი ინდიკატორების განსაზღვრა.

დისკუსიის ეტაპზე „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენლის, ლინა ღვინიაძისა და „ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენლის, ანანო ცინცაბაძის კომენტარები შეეხო ასევე შრომის ინსპექტირების შედეგების პროაქტიულ გამჭვირვალობასა და SDG OGP საკითხების ერთმანეთთან დაკავშირებას, იმ მიზნით რომ ხელისუფლების მიერ მომხდარიყო SDG-დან გამომდინარე კონკრეტული ვალდებულებების აღება OGP საერთაშორისო ინიციატივის ფარგლებში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ შრომის ინსპექტირების შედეგების პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა მხოლოდ შრომის ინსპექტირების სამმართველო და ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი იყო მოცემული საკითხის შეთანხმება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. SDG-სა და OGP-ს ერთმანეთთან დაკავშირების თაობაზე ანა კვერნაძემ აღნიშნა, რომ OGP-ის გამოყენება მიმდინარე პროცესში უდავოდ იქნებოდა კარგი ფორმატი და დასძინა, რომ მთავრობა იქნებოდა ჩართული პროცესში ღიაობისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად.

„ენერგოეფექტურობის ფონდის“ წარმომადგენლმა ვახტანგ ზარქუამ საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინა მცირე და საშუალო ბიზნესისა და მაღალი ტექნოლოგიების ხელშეწყობის საკითხებზე. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სცდებოდა მდგრადი განვითარების იმ მიზნებს, რომლებსაც მოცემული შეხვედრა ეხებოდა კომენტარის ავტორი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი შეთანხმდნენ მომავალში ორმხრივ თანამშრომლობაზე.

12:15 - შეჯამება

შეხვედრა შეაჯამა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა კოორდინატორმა - ანა კვერნაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ მოცემული ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფის წევრებს უახლოეს მომავალში გაეგზავნებოდათ ონლაინ კითხვარი ჯგუფის თანათავმჯდომარეთა არჩევის მიზნით. ანა კვერნაძემ მადლობა გადაუხადა სამუშაო ჯგუფის წევრებს ღონისძიებაზე დასწრებისა და აქტიური მონაწილეობისთვის.

12:20 - შეხვედრის დასასრული

დანართი #1

მონაწილეთა სია

1. სახელი, გვარი	დაწესებულება	თანამდებობა
2. ირმა გვილავა	საქსტატი	სოციალურ-სტატისტიკური სამმართველოს უფროსი
3. თემურ გოგინოვი	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ექსპერტი, ანალიტიკოსი
4. თამარ წულუკიძე	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურის უფროსი
5. ლევან ქარსაულიძე	საქსტატი	ეროვნული ანგარიშების სამმართველოს უფროსი
6. გიორგი სანაძე	საქსტატი	ბიზნეს-სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
7. თეა გვარამაძე	MOH	სამმართველოს უფროსი
8. ლიკა კლიმიაშვილი	MOH	სამმართველოს უფროსი
9. პაატა ჟორჟოლიანი	MOH	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
10. ნინო ჯანაშია		დამოუკიდებელი კონსულტანტი
11. გიორგი ჭანტურიძე	პროფკავშირების გაერთიანება	ეკონომიკური ანალიტიკოსი
12. თინა გენებაშვილი	შვედეთის საელჩო	პროგრამების ხელმძღვანელი
13. გიორგი ბობშიაშვილი	AOG	მრჩეველი
14. ლინა ჯიქია	Amcham	მთავარი იურისტი
15. ნინო ესაკია	EY Georgia	საჯარო და სახელმწიფო სექტორის პრაქტიკის ხელმძღვანელი
16. სანდრო მაჭარაშვილი	PwC Georgia	მთავარი იურისტი
17. ნინო ბერაძე	PwC Georgia	მენეჯერი
18. ნუცა ქაშაკაშვილი	EMC	მკვლევარი
19. ლინა ღვინიაძე	EMC	პროგრამების დირექტორი
20. თეა ლევიძე	MOESD	მდგრადი განვითარების სამმართველოს უფროსი

21. სალომე ოდიშარია	UNDP	GRF პროექტის მენეჯერი
22. დავით მუშკუდიანი	UN	გაეროს საკოორდინაციო საქმეთა ხელმძღვანელი
23. ნათია წიქარაძე	AOG	
24. ნათია კაციაშვილი	BEC	ადმასრულებელი დირექტორი
25. თამარ გულუა	საქსტატი	
26. ვახტანგ ზარქუა	ენერგოეფექტურობის ფონდი (EEF)	თავმჯდომარე
27. ანანო ცინციბაძე	OSGF	პროექტის კოორდინატორი
28. ნინო ფარცხალაძე	დამოუკიდებელი ექსპერტი	მონიტორინგისა და შეფასების კონსულტანტი
29. გიორგი ნანობაშვილი	UNDP	ეკონომიკური განვითარების გუნდის უფროსი
30. ხათუნა ჭანუყვაძე	UNDP	მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი